

სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის დასახელება	მეცნიერების კომერციალიზაცია Commercialization of Science
ავტორი	იოსებ მასურაშვილი
ლექტორი	ეკონომიკის დოქტორი იოსებ მასურაშვილი ioseb.masurashvili@tsu.ge
სასწავლო კურსის კოდი	კოდის მინიჭება ხდება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი ერთიანი წესის შესაბამისად
სასწავლო კურსის სტატუსი	1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.
	2. დოქტორანტურა (ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა).
	3. არჩევითი.
სასწავლო კურსის მიზნები	ამ კურსის ამოცანაა დოქტორანტს მისცეს შესაძლებლობა სიღრმისეულად შეისწავლოს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული მეთოდებიდან გამომდინარე სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების შედეგების კომერციალიზაციის, ბიზნესად გადაქცევის სტრატეგია და ტექნოლოგია, განსაზღვროს მისი პერსპექტიული მიმართულებები.
კრედიტების რაოდენობა და სათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS)	5 კრედიტი. საკონტაქტო მუშაობაზე – 45 საათი (15 სთ – ლექცია, 30 სთ – სემინარი); დამოუკიდებელ მუშაობაზე – 80 საათი. გამოცდისთვის მომზადება და ჩაბარება – 12+3 (15 სთ) სულ 125 სთ
დაშვების წინაპირობები	სასწავლო კურსს შესწავლის წინაპირობები არ გააჩნია.
სწავლის შედეგები	I. ცოდნა და გაცნობიერება - დოქტორანტს ექნება სამეცნიერო კვლევების შედეგების, ინოვაციების ბიზნესად გადაქცევის ორგანიზაციასა და მართვაში უახლეს მიდწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. აითვისებს და გააცნობიერებს შეძენილი ცოდნის კრიტიკული გააზრების, გაფართოებისა და თვისებრივად ახლებური ელემენტებით გამდიდრების მეთოდებს. II. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები - დოქტორანტი დამოუკიდებლად შეძლებს ინოვაციების ბიზნესად გადაქცევის ორგანიზაციისა და მართვის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვას, განხორციელებას და ზედამხედველობას; შეძლებს სამეცნიერო კვლევების შეფასებასა და კვლევის შედეგების სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან სათანადოდ წარმოჩინებას. შეეძლება სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო პროექტების შემუშავება ან/და დახვეწა პოტენციური

	<p>პარტნიორებისა და დონორებისათვის მიმზიდველი ფორმის მისაცემად.</p> <p>III. კომუნიკაციის უნარი - დოქტორანტი შეძლებს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან, პოტენციურ პარტნიორებთან და დონორებთან წარმატებულ კომუნიკაციას; სამეცნიერო პოტენციალისა და კვლევის შედეგების არგუმენტირებულად და გარკვევით წარმოჩენას მეცნიერების კომეციალიზაციის სფეროს ცოდნისა და მეთოდების საფუძველზე.</p> <p>IV. დასკვნის უნარი - დოქტორანტს შეეძლება სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების შედეგების ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების შედეგების კომერციალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.</p> <p>V. სწავლის უნარი - დოქტორანტი შეძლებს სწავლისა და კვლევის პროცესში ინოვაციების ბიზნესად გადაქცევის თანამედროვე მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე ინოვაციური იდეების განვითარებას.</p> <p>VI. ღირებულებები - დოქტორანტი შეძლებს სამეცნიერო კვლევების შედეგების ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიებასა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავებას.</p>
სწავლების/სწავლის მეთოდები	სწავლება/სწავლის ძირითადი მეთოდებია: დისკუსია/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, პრაქტიკული სიტუაციის ანალიზი (Case study), ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება (E-learning – დასწრებული).
შეფასება	<p>დასწრება ----- 5 %</p> <p>სამუშაო ჯგუფი (აქტიურობა) ----- 20 %</p> <p>შუალედური გამოცდა (წერიტი) ----- 20%</p> <p>პრეზენტაცია (რეფერატი) ----- 15%</p> <p>საბოლოო გამოცდა (წერიტი)----- 40 %.</p> <p>სულ ----- 100%.</p> <p><i>დასწრება:</i></p> <p>ყოველი 3 (სამი) დასწრება ფასდება 1 (ერთი) ქულით. შესაბამისად, 15 დასწრება – 5 ქულით.</p> <p><i>სამუშაო ჯგუფი:</i></p> <p>ყოველი 1(ერთი) სასემინარო თემა ფასდება 2(ორი) ქულით. შესაბამისად, 10 თემა შეფასდება 20 ქულით.</p> <p><i>შუალედური გამოცდა (წერიტი):</i></p> <p>შუალედური შემოწმების დროს დოქტორანტს ევალება განვლილი მასალის ცოდნის დადასტურება. თითოეული სტუდენტი ვალდებულია წერით გადმოსცეს ბილეთის ის 2 (ორი) სავალდებულო საკითხი, რომლებიც წარმოდგენილი იქნება უკვე განხილული და გავლილი მასალიდან. 1 (ერთი) საკითხი ფასდება 10 ქულით, შესაბამისად 2 საკითხი – 20 ქულით.</p> <p>შუალედური გამოცდის შეფასების კრიტერიუმები:</p>

	<p>1. 9-10 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.</p> <p>2. 7-8 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.</p> <p>3. 5-6 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.</p> <p>4. 3-4 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.</p> <p>5. 1-2 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.</p> <p>6. 0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.</p> <p style="text-align: center;"><i>პრეზენტაცია (რეფერატი):</i></p> <p>რეფერატის პრეზენტაცია მოხდება მე-15 კვირაში – სემესტრის ბოლო სასემინარო შეხვედრაზე. მაქსიმალური შეფასება იქნება 15 ქულა.</p> <p>პრეზენტაციის შეფასების შესაძლო კრიტერიუმებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ფორმალური მხარე (ფორმატი): რეგლამენტის დაცვა, მასალები, გაფორმების ვიზუალური მხარე – 3 ქულა, 2. შინაარსობრივი მხარე - საკითხის დასმა, საკითხის გადაწყვეტის გზა, მიღებული შედეგები და მათი არგუმენტირებული დასაბუთება – 6 ქულა, 3. პრეზენტაციის ტექნოლოგია (კონტაქტი აუდიტორიასთან) – 6 ქულა. <p style="text-align: center;"><i>საბოლოო გამოცდა (წერიტი):</i></p> <p>საბოლოო (წერიტი) გამოცდის შეფასება ხდება 4 (ოთხი) საკითხით. თითოეულ საკითხს მინიჭებული აქვს 10 ქულა, შესაბამისად 4 საკითხს – 40 ქულა.</p> <p>საბოლოო გამოცდის შეფასების კრიტერიუმები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. 9-10 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. დოქტორანტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი ისე დამხმარე ლიტერატურა. 2. 7-8 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი
--	--

	<p>შეცდომა არ არის; დოქტორანტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.</p> <p>3. 5-6 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; დოქტორანტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.</p> <p>4. 3-4 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; დოქტორანტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.</p> <p>5. 1-2 ქულა: პასუხი ნაკლოვანია, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.</p> <p>6. 0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:</p> <table border="1" data-bbox="500 863 1511 1241"> <thead> <tr> <th>ქულები</th> <th>შეფასება</th> <th>ნიშანი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>91-100</td> <td>ფრიადი</td> <td>A</td> </tr> <tr> <td>81-90</td> <td>ძალიან კარგი</td> <td>B</td> </tr> <tr> <td>71-80</td> <td>კარგი</td> <td>C</td> </tr> <tr> <td>61-70</td> <td>დამაკმაყოფილებელი</td> <td>D</td> </tr> <tr> <td>51-60</td> <td>საკმარისი</td> <td>E</td> </tr> <tr> <td>41-50</td> <td>არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება</td> <td>FX</td> </tr> <tr> <td>0-40</td> <td>სრულიად არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტმა კრედიტის მისაღებად თავიდან უნდა გაიაროს კურსი</td> <td>F</td> </tr> </tbody> </table> <p>საბოლოო გამოცდაზე დასაშვებად საჭიროა მინიმუმ 11 ქულა.</p>	ქულები	შეფასება	ნიშანი	91-100	ფრიადი	A	81-90	ძალიან კარგი	B	71-80	კარგი	C	61-70	დამაკმაყოფილებელი	D	51-60	საკმარისი	E	41-50	არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება	FX	0-40	სრულიად არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტმა კრედიტის მისაღებად თავიდან უნდა გაიაროს კურსი	F
ქულები	შეფასება	ნიშანი																							
91-100	ფრიადი	A																							
81-90	ძალიან კარგი	B																							
71-80	კარგი	C																							
61-70	დამაკმაყოფილებელი	D																							
51-60	საკმარისი	E																							
41-50	არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება	FX																							
0-40	სრულიად არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტმა კრედიტის მისაღებად თავიდან უნდა გაიაროს კურსი	F																							
ძირითადი ლიტერატურა	<p>1. რიდერი - „მეცნიერების კომერციალიზაცია“. 2015 წ.</p> <p>P.S. სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია თსუ ბიბლიოთეკაში და ლექტორის პირად ბიბლიოთეკაში ნაბეჭდი და ელექტრონული (CD) სახით. რიდერის შედგენისას გამოყენებულია ლიტერატურა: [2]-გვ.1-19; [4]-გვ.168-203; [14]-გვ.364-383; [18]; [26]-გვ.13-85;169-245; [27]-გვ.23-45;79-90;110-123;142-155;189-193;200-203;208-216. ; [28]; [29]; [30]; [31]; [33]- გვ.7-17;96-115;213-225;239-257. ; [41]; [49]-გვ.1-3.</p>																								
დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	<p>2. George Kozmetsky, Frederick Williams, Victoria Williams. Commercialization of Science and Technology for Business and Economic Development. Praeger Publishers. USA. 2004.</p> <p>3. Managing University Intellectual Property in the Public Interest. National Academy of Sciences. 2011.</p> <p>4. Heinrich M. Arnold, Michael Erner, Peter Mockel. Applied Technology and Innovation Management.2010.</p> <p>5. Reinhard Meckl. Technology and innovation management: theories, methods and</p>																								

	<p>practices from Germany and China. Oldenbourg Wissenschaftsverlag, 2008.</p> <ol style="list-style-type: none"> 6. William Crookes (1832-1919) and the Commercialization of Science (Science, Technology and Culture, 1700-1945). Ashgate. 2008. ISBN-10: 0754663221. 7. Commercialization of Academic Research Results. Vinnova. Forum-2003. 8. Andrew, J., Sirkin, H. "Payback: Reaping the Rewards of Innovation": Harvard Business School Press. 2007. 9. Julio Rosa and Antoine Rose. Report on Interviews on the Commercialization of Innovation. Canada. 2007. ISSN: 1706-8967. ISBN: 978-0-662-46359-7. 10. Matthew Yubas. Barbara M.Fossum. Product Idea to Product Success; A Complete Step-by-step Guide to Making Money from Your Idea. ISBN: 0-9725521-0-3. LCCN: 2003111239. 11. Cristina T Chaplain, Art Gallegos, Maria Durant, Claire Buck, Amanda Jones, Morgan Delaney-Ramaker, Arturo Holguin, Sylvia Schatz, Nathan Pope. Space Acquisitions: Challenges in Commercializing Technologies Developed Under the Small Business Innovation Research Program. US Government Accountability Office (GAO), Washington. 2010. 12. Robert Burgelman, Clayton Christensen and Steven Wheelwright. Strategic Management of Technology and Innovation. 2008. 13. Scott Andrew Shane. The Handbook of Technology and Innovation Management. 2009. 14. John Sibley Butler, David V. Gibson. Global Perspectives on Technology Transfer and Commercialization. Edward Elgar Publishing, inc. USA. 2011. 15. Brandon Shackelfor. New Data on Line of Business Improve Understanding of U.S. Industry R&D Statistic. NSF 13-306 November 2012. http://www.nsf.gov/statistics/infbrief/nsf13306/ 16. Tuzin Bayca. Knowledge Commercialization and Valorization in Regional Economic Development. Edward Elgar Publishing, inc. USA. 2013. 17. Ronda Britt. Higher Education R&D Expenditures Resume Slow Growth in FY 2013. NSF 15-314 February 4, 2015. http://www.nsf.gov/statistics/2015/nsf15314/. 18. I.Masurashvili. Management of Intellectual Capital in Georgia. Presentation at the International conference on intellectual capital management (IICM2013). Zanjan Science & Technology Park, Zanjan-Iran. September, 2013. 19. I.Masurashvili. Role Government in Management of Innovation. Presentation at the International Scientific-Practical Conference – National Economies and Globalization. TSU, Paata Gugushvili intstitute of economics. June 28-29, 2012. 20. I.Masurashvili. Development of Competitiveness of Georgia Economy. Presentation at the International Scientific Conference – Whither Our Economies. Mykolas Romeris University. Vilnius. Lithuania. November 16-17. 2011. 21. I.Masurashvili. Problems of Management Innovative Activities in Georgia. Presentation at the IV International scientific conference "Investment - an innovative strategy for the development of national economy in a global economic system". Mariupol, Ukraine. May 20-22. 2011. 22. I.Masurashvili. Organizational Culture of Knowledge Management in EU. Presentation at the International Scientific Conference – The Socio Cultural Environment of International Business. Tbilisi, Georgia. February 28, 2011.
--	---

23. I.Masurashvili. Management of Innovative Business Models. Presentation at the Scientific-practical conference dedicated to 65 th anniversary since the foundation of Paata Gugushvili insitute of economics – Actual Economic Problems At Current Stage of Global Development. Tbilisi, 8-9 July, 2010.

24. I.Masurashvili. Competitiveness of the European region based on research and innovation. Presentation at the International scientific-practical conference – Innovations in Business. Batumi. April 16-17, 2010.

25. I.Masurashvili. The State Regulation of Inovative Business. Presentation at the International Conference „Economic Integration Perspectives In Central Caucasus“, TSUER, Tbilisi, November 29, 2008.

26. მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. თბილისი. ტექინფრომი. 2010.

27. ა.სამადაშვილი. სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი. სტუ. 2009.

28. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020.
<http://www.mof.ge/ViewFile.aspx?Id=64>

29. საქართველოს საპატენტო კანონი.
www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=187.

30. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ.
www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=188.

31. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.
www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=205.

32. საქართველოს კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ.
www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=213.

33. ს.მასურაშვილი. ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა. თბ. 2010.

34. ი.მასურაშვილი. ინოვაციების მენეჯმენტი და საქართველოს კონკურენტუნარიანობის აქტუალური საკითხები. პრეზენტაცია სამეცნიერო კონფერენციაზე. ქუთაისის უნივერსიტეტი. 5-6 ნოემბერი, 2011.

35. ი.მასურაშვილი. ინოვაციური საქმიანობის მართვა კონკურენტუნარიანობის საფუძველზე. პრეზენტაცია სამეცნიერო კონფერენციაზე. თსუ. 24 ივნისი, 2010 წელი.

36. ი.მასურაშვილი. კონკურენტუნარიანობა, როგორც ინოვაციური განვითარების ძირითადი მიმართულება. პრეზენტაცია სამეცნიერო კონფერენციაზე. თსუ. 6 ივნისი, 2009 წელი.

37. ი.მასურაშვილი. ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოში. პრეზენტაცია სამეცნიერო კონფერენციაზე. 2009.

38. ი.მასურაშვილი. მოტივაციები ინოვაციური ბიზნესში. პრეზენტაცია სამეცნიერო კონფერენციაზე. თსუ, 25 მაისი, 2009.

39. ი.მასურაშვილი. ინოვაციური ბიზნესის მართვის თავისებურებანი. პრეზენტაცია სამეცნიერო კონფერენციაზე. პ.გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. 25 დეკემბერი, 2008.

40. ი.მასურაშვილი. ინოვაცია და ბაზარი. პრეზენტაცია სამეცნიერო კონფერენციაზე. თსუ სოხუმის ფილიალი. 25-27 აპრილი, 2007.

41. ი.მასურაშვილი. ტექნოლოგიების მენეჯმენტის აქტუალური საკითხები. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №2, 2012.

42. ი.მასურაშვილი. მართვის ძირითადი მიმართულებები ვენჩურულ

	<p>ინვესტიციებში. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №4, 2010.</p> <p>43. ი.მასურაშვილი. ინოვაციური ბიზნესის პოლიტიკა ევროკავშირის ქვეყნებში. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №3, 2009.</p> <p>44. ი.მასურაშვილი. ინოვაციების ლოგისტიკა და ბიზნესი. ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“, №1, 2009.</p> <p>45. ი.მასურაშვილი. ინოვაციური ბიზნეს-პროექტების შერჩევის მეთოდები. ჟურნ. „ეკონომიკა“, №1-2, 2009.</p> <p>46. ი.მასურაშვილი. რეგიონული ინოვაციური ბიზნესის დინამიკა ევროკავშირში. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №5, 2008.</p> <p>47. ი.მასურაშვილი. ინოვაციური ურთიერთობები ბიზნესში. ჟ. „ბიზნეს მაცნე“, №3, 2008.</p> <p>48. ი.მასურაშვილი. ინოვაციების ბაზრის ძირითადი მიმართულებები ბიზნესში. ჟ. „ახალი ეკონომისტი“, №2, 2008.</p> <p>49. ინტელექტუალური საკუთრება. მთარგმნელები: დ.გაბუნია, მ.კვიციანი და ზ.მელითაური. თბ.2001.</p> <p>50. http://center.ncet2.org/</p> <p>51. http://gita.gov.ge/ge/agency/about-gita.</p> <p>52. http://www.hbs.edu/doctoral/Pages/default.aspx</p> <p>53. http://www.productcoach.com/pressroom/university-of-texas-selects-product-idea-to-product-success-for-entrepreneur-course.htm.</p> <p>54. www.inderscience.com.</p> <p>55. www.pnl.gov/business/techtransfer/documents/TechCommOverview-singlepgs.pdf</p>
<p>სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები</p>	<p>კრედიტების მისაღებად სტუდენტმა საბოლოო გამოცდის ჩათვლით უნდა დააგროვოს არანაკლებ 51 ქულა.</p>

სასწავლო კურსის შინაარსი

N	ლექციის/სემინარის/პრაქტიკუმის თემა	ლიტერატურა (შესაბამისი გვერდების მითითებით)
1	<p><i>მეცნიერების კომერციალიზაცია და სახელმწიფოს დამოკიდებულება მის მიმართ:</i></p> <ul style="list-style-type: none"> - მეცნიერების კომერციალიზაციის მნიშვნელობა. მეცნიერების კომერციალიზაციის ერთიანი ევროპული პოლიტიკა. - ვენჩურული ბიზნესი. - სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი. - ინოვაციური პოტენციალის გამოყენება ქვეყნის ეკონომიკაში. 	[1] – გვ. 3-44.
2	<p><i>მეცნიერების კომერციალიზაციის სამეწარმეო ხასიათი:</i></p> <ul style="list-style-type: none"> - სამეწარმეო საქმიანობის ინოვაციური ხასიათი. - ინოვაციური მეწარმეობის ფორმები. - ინოვაციური მეწარმეობა საზღვარგარეთ. 	[1] – გვ. 45-70.
3	<p><i>ინოვაციური საქმიანობის პროდუქტის კომერციალიზაციის ტექნოლოგია:</i></p> <ul style="list-style-type: none"> - საქმიანობის დაგეგმვა ინოვაციურ ფორმაში. - საკუთრებითი ურთიერთობები ინოვაციურ პროდუქტზე. - სამრეწველო საკუთრების უფლებები. - ინოვაციური საქმიანობის საგადასახადო სტიმულირება. 	[1] – გვ. 71-108.
4	<p><i>სამეცნიერო-ტექნიკურ პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების ანალიზი:</i></p> <ul style="list-style-type: none"> - ტექნოლოგიური პროგრესის ტრაექტორია. - ინოვაციებზე მოთხოვნა-მიწოდების ანალიზის მნიშვნელობა და ამოცანები. - მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორები. - მოთხოვნა-მიწოდების სახეები ახალ პროდუქციაზე. - მოთხოვნა-მიწოდების ანალიზის მეთოდები. 	[1] – გვ. 109-130.
5	<p><i>ინოვაციური სფერო და ბაზარი:</i></p> <ul style="list-style-type: none"> - ინოვაციური ორგანიზაციები. - ინოვაციური ინფრასტრუქტურა. - ინოვაციების ბაზარი. 	[1] – გვ. 131-160.
6	თავისუფალი დისკუსია და შემაჯამებელი მეცადინეობა (1-5 თემა)	
7	შუალედური გამოცდა	
8-9	<p><i>ფინანსური ურთიერთობები მეცნიერების კომერციალიზაციაში:</i></p> <ul style="list-style-type: none"> - ლიზინგი და დაზღვევა ინოვაციურ საქმიანობაში. 	

	<ul style="list-style-type: none"> - მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესის ზრდისა და ინოვაციების დაფინანსების გზები და საშუალებები. - კონკურენციისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის ფინანსური საშუალებები. - ევროგაერთიანების ფინანსური ინსტრუმენტები. 	[1] – გვ. 161-188.
10	<p><i>ტექნოლოგიების ტრანსფერი და ექსპორტ-იმპორტი:</i></p> <ul style="list-style-type: none"> - ტექნოლოგიების ტრანსფერი. - ტექნოლოგიების გადაცემის ხელშეწყობა: კანონმდებლობა და პრაქტიკა. - აშშ-ს, იაპონიის და მსოფლიოს სხვა ქვეყნების გამოდილება ტექნოტრანსფერსა და ლიცენზირებაში. 	[1] – გვ. 189-213.
11	<p><i>ინოვაციური პროცესების შეფასება და მონიტორინგი:</i></p> <ul style="list-style-type: none"> - ინოვაციური საქმიანობის ეკონომიკური ასპექტები. - თანამედროვე პრაქტიკა მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკის სფეროში. - ინოვაციური პროცესების შეფასებისა და მონიტორინგის ინდიკატორები. - ეკონომიკური გარემოს წინააღმდეგობები. 	[1] – გვ. 213-244.
12	<p><i>ინოვაციური პროექტების ექსპერტიზა:</i></p> <ul style="list-style-type: none"> - პროექტი - ინოვაციური პროცესის რეალიზების ფორმა. - ექსპერტიზის ამოცანები და ძირითადი მეთოდები. - ინოვაციური პროექტების შერჩევის მეთოდები. 	[1] – გვ.245-262.
13	<p><i>ინოვაციებისა და ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობა:</i></p> <ul style="list-style-type: none"> - ინოვაციის გამოყენება კონკურენტებზე შეტევისათვის. - ინოვაციების გამოყენების ეფექტიანობა. - ინოვაციების ზოგადი ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა. - ინოვაციურ საქმიანობაზე დანახარჯების ეფექტიანობის განსაზღვრა. 	[1] – გვ. 263-280.
14	პრეზენტაცია/კურსის შემაჯამებელი მეცადინეობა–დისკუსია	
15	დასკვნითი გამოცდა	